

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების გამოყენებისათვის გადასახდელი ჰონორარის განაკვეთების (ტარიფების) გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ

მუხლი 1. დებულების მიზანი და მოქმედების სფერო

1. საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების გამოყენებისათვის გადასახდელი ჰონორარის განაკვეთების (ტარიფების) გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ დებულება (შემდგომში "დებულება") შემუშავებულია ასოციაციის წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. (ცვლილება 01.03.2015)
2. დებულება განსაზღვრავს იმ წესებსა და რეგულაციებს, რაც გამოიყენება ასოციაციის მიერ საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტებით სარგებლობისათვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობისა და სტრუქტურის დადგენის, ასევე მოსარგებლეთა მიერ ჰონორარის გადახდის დროს. (ცვლილება 01.03.2015)
3. დებულება წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპების ერთობლიობას, რომელთა დაცვა საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტებით მოსარგებლეებისათვის. (ცვლილება 01.03.2015)
4. დებულების ნორმები ვრცელდება ასოციაციის მიერ დადგენილ, საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების გამოყენებისათვის განსაზღვრულ განაკვეთებზე (ტარიფებზე) და განიმარტება აღნიშნულ განაკვეთებთან (ტარიფებთან) ერთობლიობაში. (ცვლილება 01.03.2015)
5. დებულების ნორმებსა და ასოციაციის მიერ დადგენილი განაკვეთების (ტარიფების) ნორმებს შორის შეესაბამების შემთხვევაში, მოქმედებს განაკვეთების შესაბამისი პირობები, როგორც სპეციალური ნორმები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. დებულებასა და საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ დადგენილ განაკვეთებში (ტარიფებში) მითითებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. მოსარგებლე - ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, რომელიც იყენებს საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტებს. (ცვლილება 01.03.2015)
 - 1.2. ასოციაციის რეპერტუარი - როგორც ადგილობრივ ავტორთა და მომიჯნავე უფლების მფლობელთა ან მათ შემკვიდრეთა/უფლებამონაცვლეთა და/ან საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელთა, ასევე უცხოეთის ანალოგიურ საავტორო და/ან მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებთან ურთიერთწარმომადგენლობის თაობაზე დადებული შეთანხმებებით გათვალისწინებული საავტორო და/ან მომიჯნავე უფლების ობიექტები, რომელთა ავტორებმა და/ან უფლების მფლობელებმა, მათმა შემკვიდრებმა/უფლებამონაცვლებმა და/ან უფლების სხვა მფლობელებმა თავიანთი საავტორო და/ან მომიჯნავე ქონებრივი უფლებები კოლექტიურ საფუძველზე სამართავად გადასცეს ასოციაციას. აგრეთვე, ის საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტები, რომელთა საავტორო და/ან მომიჯნავე უფლების მფლობელებსაც არ გადაუციათ თავიანთი უფლებები ასოციაციისათვის კოლექტიურად სამართავად. (ცვლილება 01.03.2015)
 - 1.3. ამოღებულია - (ცვლილება 01.03.2015)
 - 1.4. საჯარო შესრულება - ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის წარმოდგენა დეკლამაციის, თამაშობის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით, უშუალოდ (ცოცხალი შესრულება) ან ნებისმიერი მონყობილობის მეშვეობით, ადგილზე (ადგილებზე) სადაც საჯარო შესრულება შეიძლება აღქმულ იქნას საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და რომელსაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო შესრულებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობით. (ცვლილება 01.03.2015)
 - 1.5. საჯარო გადაცემა - ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის, გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან ნებისმიერი საშუალებით, (გარდა ნაწარმოების ან ფონოგრამის ასლების გავრცელებისა), ისე, რომ გადაცემის გამოსახულება და/ან ხმა აღქმულ იქნას იმ პირთა მიერ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, ადგილზე (ადგილებზე), რომლის (რომელთა) დაშორებაც გადაცემის ადგილიდან ისეთია, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება და/ან ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნას მითითებულ ადგილზე (ადგილებზე), მათ შორის, გადაიცეს ისე, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროსა და ადგილიდან. (ცვლილება 01.03.2015)
 - 1.6. საჯარო ჩვენება - ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დემონსტრირება უშუალოდ ან ეკრანზე ფირის, სლაიდის, კადრის ან სხვა ტექნიკური საშუალების მეშვეობით, რასაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო ჩვენებად ჩათვლება ცალკეული კადრების ჩვენება თანამიმდევრობის გარეშე.
 - 1.7. რეპროდუქცირება - ნაწარმოების, მომიჯნავე უფლების ობიექტის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან მისი ნაწილის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანაწერის ფორმით. რეპროდუქცირებად ასევე ითვლება ჩაწერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრული ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით. (ცვლილება 01.03.2015)
 - 1.8. რეპროგრაფიული გამრავლება (ასლის გადაღება) - წერილობითი ან გრაფიკული საშუალებით გამოხატული ნაწარმოების, მონაცემების ან სხვა მასალის ორიგინალის ან ასლის ფაქსიმილური რეპროდუქცირება ნებისმიერი

- ზომით, ფოტოკოპირების ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. რეპროგრაფიულ გამრავლებად არ ითვლება ელექტრონული (ციფრული ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით ჩანერა.
- 1.9. ტექნიკური საშუალება - ნებისმიერი მოწყობილობა, მათ შორის რადიომიმღები, ტელევიზორი, მონიტორი, დინამიკი და სხვა, რომლის მეშვეობითაც ხდება აუდიო/ვიდეო სიგნალის გადაცემა და მომხმარებლისთვის მიწოდება.
- 1.10. ჰორიკვასი ექტორი - ისეთ დაწესებულებათა ერთობლიობა, რომელიც ეწევა საქმიანობას კვების პროდუქტებით მომსახურების, მომხმარებლების დასვენების, გართობის და/ან სასტუმროს მომსახურების ფორმით, სადაც მომსახურების განხორციელების პროცესში როგორც წესი ხორციელდება საავტორო უფლებით და მომიჯნავე უფლების ობიექტების საჯარო შესრულება და რომელიც შექმნილია ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი დაწესებულების სახით:
- რესტორანი - საზოგადოებრივი კვების საწარმო, რთული მომზადების კერძების ფართო ასორტიმენტით, მათ შორის შეკვეთილი და საფირმო. ღვინისა და სპირტიანი სასმელების, თამბაქოსა და საკონდიტრო ნაწარმის ჩათვლით, მომსახურების გაზრდილი დონის შერწყმით მომხმარებელთა დასვენების ორგანიზებასთან.
- ბარი - საზოგადოებრივი კვების საწარმო ბარის დახლით, რომელიც ახდენს შერეული, მაგარი და მსუბუქი ალკოჰოლური და არალკოჰოლური სასმელების, საუმეგების, დესერტების, ფქვილის საკონდიტრო და შესყიდული საქონლის რეალიზებას.
- კაფე - მომხმარებელთა კვებისა და დასვენების ორგანიზაციის საწარმო, რომელიც სთავაზობს რესტორანთან შედარებით შეზღუდული პროდუქციის ასორტიმენტს. ახდენს საფირმო, შეკვეთილი კერძების, ნაწარმისა და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციას.
- სასადილო - ფართოდ ხელმისაწვდომი, ან განსაზღვრული კონტინგენტის მომსახურებისათვის გათვალისწინებული საზოგადოებრივი კვების საწარმო, რომელიც აწარმოებს და ახდენს კერძების მომზადებასა და რეალიზაციას კვირის დღეების მიხედვით მრავალფეროვანი მენიუს შესაბამისად და არ ახდენს ალკოჰოლური და სპირტიანი სასმელების რეალიზაციას.
- სასაუმეგე - მომხმარებელთა სწრაფი მომსახურებისათვის გათვალისწინებული საზოგადოებრივი კვების საწარმო განსაზღვრული სახის ნედლეულით, მარტივი მომზადებისა და შეზღუდული ასორტიმენტის კერძებით.
- სწრაფი კვების ობიექტი - საზოგადოებრივი კვების საწარმო, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ძირითადად სწრაფი მომზადების კერძებს, სადაც არ ხდება ალკოჰოლური და სპირტიანი სასმელების რეალიზაცია.
- საბანკეტო დარბაზი - საზოგადოებრივი კვების საწარმო, რომელშიც იმართება ერთჯერადი ღონისძიებები და მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულებას არ აქვს პერმანენტული ხასიათი.
- კლუბი - დაწესებულება, რომელიც ძირითადად განკუთვნილია მუსიკალურ-საცეკვაო ღონისძიებების რეგულარულად გამართვისათვის, რომელიც, როგორც წესი სთავაზობს მომხმარებელს კერძების გარკვეულ ასორტიმენტს და ალკოჰოლურ და არალკოჰოლურ სასმელებს.
- სასტუმრო - შენობა, რომელიც განკუთვნილია საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან დროებით გადაადგილებული და/ან ნებისმიერი მიზნით მოგზაური პირის მიღება/განთავსებისათვის. სასტუმროს კლასს განსაზღვრავს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო. მოტელი - სასტუმრო, რომელიც განკუთვნილია ავტოტურისტებისათვის.
- კემპინგი - ავტოტურისტების და/ან ლაშქრობისათვის განკუთვნილი ბანაკი (საზაფხულო ბინები, კარვები ელემენტარული პირობებით), რომელიც როგორც წესი განთავსებულია ქალაქგარეთ და/ან დასასვენებელ ზონაში. (ცვლილება 01.03.2015)
- 1.11. საბავშვო ცენტრი - ბავშვების გართობისათვის განკუთვნილი დაწესებულება, რომელიც აღჭურვილია ბავშვების გართობისათვის საჭირო სხვადასხვა საშუალებებითა და მომსახურების სახეებით.
- 1.12. სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულება - დაწესებულება, რომელიც აღჭურვილია სპორტულგამაჯანსაღებელი, სპა, ფიტნეს და/ან სხვა მსგავსი ტიპის საშუალებებით და მომსახურების სახეებით.
- 1.13. მასობრივ-სანახაობითი ღონისძიება - კონცერტი, ფესტივალი, შოუ, საცირკო, თეატრალიზებული და სხვა ისეთი სანახაობითი წარმოდგენა, რომელიც განკუთვნილია კონკრეტული და/ან ღია აუდიტორიისათვის და იმართება წინასწარ განსაზღვრულ პერიოდსა და ადგილას.
- 1.14. სატრანსპორტო საშუალება - სახმელეთო (სავაზო, სარკინიგზო), საჰაერო და წყლის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა გადაყვანისათვის და/ან ტვირთის გადაზიდვისათვის.
- 1.15. სატრანსპორტო ობიექტი - სადგური, მეტროპოლიტენი ან სხვა ისეთი დაწესებულება, სადაც მგზავრების მიერ შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალების სამგზავრო ბილეთის შექმნა, სატრანსპორტო საშუალებაში ჩასხდომა-გადმოსხდომა ან სატრანსპორტო საშუალების მოყვლა.
- 1.16. ასლგადამღები დაწესებულება - საავტორო უფლების ობიექტების ასლგადამღები მანქანით და/ან სხვა ტექნიკური საშუალებით რეპროგრაფიული გამრავლების დაწესებულება. (ცვლილება 01.03.2015)
- 1.17. ხმის ჩამწერი სტუდია - დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან მისი ნაწილის ერთი ან ერთზე მეტი ასლის ხმისა და ვიდეოჩანაწერის ფორმით დამზადებას ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით. (ცვლილება 01.03.2015)
- 1.18. მუსიკალური ყუთი - ტექნიკური მოწყობილობა, რომელსაც აქვს მწარმოებლის მიერ მიკუთვნილი სერიული ნომერი, რომელიც იძლევა მისი იდენტიფიცირების საშუალებას და რომლის მეშვეობით ხდება საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების საჯარო შესრულება. (ცვლილება 01.03.2015)
- 1.19. ბეჭდური გამოცემლობა - პირი, რომელიც ტექნიკური და სხვა საშუალებით უზრუნველყოფს ლიტერატურის, ხელოვნების და/ან სამეცნიერო ნაწარმოების გამოცემა/რეპროდუქციონებას.

- 1.20. სამაუწყებლო ორგანიზაცია - ლიცენზიის მფლობელი ან ავტორიზებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც თავისი სარედაქციო პასუხისმგებლობით ახორციელებს საკუთარი სამაუწყებლო ბადით გათვალისწინებული სამაუწყებლო პროდუქციის გადაცემას, რომელიც სამაუწყებლო ბადით განსაზღვრულ დროს ერთდროულად ხელმისაწვდომია მაყურებლისთვის/მსმენელისთვის.
- 1.21. ტელე სამაუწყებლო ორგანიზაცია - ტელესამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების, ან სამაუწყებლო გადაცემების მეშვეობით სიხშირული სპექტრის გამოყენებით განხორციელებული საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის განმახორციელებელი ორგანიზაცია. (ცვლილება 23.10.2014)
- 1.22. რადიო სამაუწყებლო ორგანიზაცია - რადიო სიხშირის საშუალებით საერთო და საკაბელო პირველადი მაუწყებლობის განმახორციელებელი ორგანიზაცია. (ცვლილება 23.10.2014)
- 1.23. ინტერნეტ სამაუწყებლო ორგანიზაცია - ინტერნეტ სადენით და/ან სადენის გარეშე, IP ქსელით ან სხვა ტექნიკური საშუალებით, ინტერნეტში ასოციაციის რეპრეტუარს მიკუთვნებული საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების პირველადი მაუწყებლობის განმახორციელებელი ორგანიზაცია, გარდა ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ხელახალი გადაცემისა, რა შემთხვევაშიც ხელახალი გადაცემის განმახორციელებელ პირზე ვრცელდება სატრანზიტო მაუწყებლობისათვის დადგენილი განაკვეთები. (ცვლილება 01.03.2015)
- 1.24. მობილური სამაუწყებლო ორგანიზაცია - ციფრული ქსელის მეშვეობით, მათ შორის ფიჭური კავშირის ქსელით მობილური კავშირგაბმულობის მომხმარებლებისათვის ასოციაციის რეპრეტუარს მიკუთვნებული საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების პირველადი მაუწყებლობის განმახორციელებელი ორგანიზაცია. გარდა მობილური კავშირგაბმულობის საშუალებით განხორციელებული ხელახალი გადაცემისა, რა შემთხვევაშიც ხელახალი გადაცემის განმახორციელებელ პირზე ვრცელდება სატრანზიტო მაუწყებლობისათვის დადგენილი განაკვეთები. (ცვლილება 01.03.2015)
- 1.25. რეგიონალური სამაუწყებლო ორგანიზაცია - ერთ სამაუწყებლო გეოგრაფიულ ზონაში მაუწყებელი ორგანიზაცია.
- 1.26. სატრანზიტო ოპერატორი - პირი, რომელიც ახორციელებს ისეთ ავტორიზებად საქმიანობას, რომელიც მოიცავს პირის მიერ მაუწყებლისაგან კანონიერ საფუძველზე მიღებული ტელე ან რადიო არხის უცვლელი სახით (ტელე ან რადიო პროგრამებში სარედაქციო ცვლილებების შეტანის გარეშე) გადაცემასა და საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებას საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების გამოყენებით.
- 1.27. საკაბელო მაუწყებლობა - საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობა.
- 1.28. რინგტონი - მობილურ აპარატში შემომავალი ზარის და/ან მოკლე ტექსტური/მულტიმედიური შეტყობინებისა და ფიქსირებული ხმოვანი სიგნალი.
- 1.29. რინგბექტონი - მობილური სატელეფონო ზუმერი.
- 1.30. მოცდითი რეჟიმის მუსიკა - სატელეკომუნიკაციო საშუალებებში, აბონენტის მოლოდინისას ან მოლოდინის რიგში ყოფნისას ფონურად გამოყენებული მუსიკალური ნაწარმოები.
- 1.31. სამაუწყებლო ბადე - მაუწყებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამების დასახელებას, მოკლე ანოტაციას და მაუწყებლობის დროს.
- 1.32. სამაუწყებლო შემოსავალი - მაუწყებლობით მიღებული მთლიანი შემოსავალი დღგ-ის ჩათვლით (იჯარის, გრანტების და სხვა ისეთი შემოსავლების გარდა, რომელიც მიიღება არასამაუწყებლო საქმიანობით).
- 1.33. საერთო შემოსავალი - ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოსარგებლემ მიიღო შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უშუალო საქმიანობის განხორციელების შედეგად. ამ დებულების მიზნებისთვის, საქმიანობაში იგულისხმება მოსარგებლის მიერ ისეთი ფუნქციების შესრულება, რომლის განხორციელების შედეგად იგი ითვლება მოსარგებლედ.
- 1.34. ბიუჯეტი - ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოსარგებლემ გახარჯა და/ან გახარჯავს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისი უშუალო საქმიანობის განსახორციელებლად. ამ დებულების მიზნებისთვის, საქმიანობაში იგულისხმება მოსარგებლის მიერ ისეთი ფუნქციების შესრულება, რომლის განხორციელების შედეგადაც იგი ითვლება მოსარგებლედ.
- 1.35. სააბონენტო შემოსავალი - აბონენტებისგან მიღებული ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით, რომელსაც აბონენტი, ანუ მოსარგებლის მომსახურების მიმღები ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი იხდის იმ მომსახურების მიღების სანაცვლოდ, რომლის განხორციელებისთვისაც მოსარგებლე საავტორო ჰონორარის გადახდელად ითვლება.
- 1.36. განთავსების ბიუჯეტი - ასოციაციის რეპრეტუარს მიკუთვნებული ნაწარმოების შემცველი რეკლამის/სარეკლამო რგოლის განთავსებისათვის დამკვეთის მიერ ფაქტიურად გადახდილი თანხა დღგ-ის ჩათვლით, მიუხედავად იმისა, მითითებული თანხა გადახდილი იქნა უშუალოდ რეკლამის/სარეკლამო რგოლის განთავსების საშუალებისთვის თუ შუამავალი ორგანიზაციისთვის.
- 1.37. სადისტრიბუციო ფასი - ღირებულება დღგ-ის ჩათვლით, რა ფასადაც მოსარგებლე ახდენს პროდუქტის და/ან მომსახურების პირველად რეალიზაციას, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ხორციელდება საბოლოო მომხმარებლისათვის, ნებისმიერი შუამავალი რგოლისათვის თუ პროდუქტის და/ან მომსახურების დამკვეთისათვის მიწოდებით.
- 1.38. ამოღებულია (ცვლილება 15.01.2016)
- 1.39. ამოღებულია (ცვლილება 15.01.2016)
2. ამ დებულებასა და საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ დადგენილ განაკვეთებში (ტარიფებში) მითითებული სხვა ტერმინები განისაზღვრება „სავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებში არსებული განმარტებების შესაბამისად.

მუხლი 3. ჰონორარის გადახდას დაქვემდებარებული შემთხვევები

1. ჰონორარი გადაიხდებინება ასოციაციის რეპრეტუარს მიკუთვნიებული საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების საჯარო შესრულებისას, საავტორო უფლების ობიექტების საჯარო გადაცემისას, საჯარო ჩვენებისას, რეპროდუქციებისას, რეპროგრამირებული გამოავლებისას და "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონში მითითებული სხვაგვარი სახით გამოყენებისას. (ცვლილება 01.03.2015)
2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება საავტორო და მომიჯნავე ქონებრივი უფლებებით დაუცველ ობიექტებზე, კერძოდ:
 - ა) ხალხური შემოქმედების ნაწარმოებებზე;
 - ბ) ნაწარმოებზე, რომლის ავტორის გარდაცვალებიდან გასულია 70 (სამოცდაათი) წელი;
 - გ) შესრულებაზე, თუ პირველი შესრულებიდან გასულია 50 წელი, ხოლო თუ ამ ვადაში შესრულების ჩანაწერი გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის მართლზომიერად ხელმისაწვდომი გახდა, აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის პირველად დადგომიდან 50 წლის გასვლის შემდეგ; (ცვლილება 01.03.2015)
 - დ) ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, თუ მათი პირველი ჩანაწერიდან გასულია 50 წელი, ხოლო თუ ამ ვადაში ფონოგრამა და/ან ვიდეოგრამა გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის მართლზომიერად ხელმისაწვდომი გახდა, აღნიშნული ფაქტებიდან ერთ-ერთის პირველად დადგომიდან 50 წლის გასვლის შემდეგ. (ცვლილება 01.03.2015)
 - ე) საეთერო (საუბელო) მაუწყებლობის ორგანიზაციის პროგრამაზე, რომლის ეთერში (კაბელით) პირველად გადაცემის შემდეგ გასულია 50 წელი. (ცვლილება 01.03.2015)
3. მოსარგებლე, ჰონორარის გადახდასთან ერთად ვალდებულია საავტორო უფლებათა ასოციაციას მოთხოვნისთანავე წარმოუდგინოს საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების გამოყენების შესახებ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ჰონორარის შეგროვებისა და განაწილებისათვის. მოსარგებლე კანონით დადგენილი წესით პასუხს აგებს წარდგენილი ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. (ცვლილება 01.03.2015)

მუხლი 4. ჰონორარის სტრუქტურის, ოდენობის და გადახდის წესის დადგენის მეთოდოლოგია

1. ჰონორარის განაკვეთის გამოანგარიშების მეთოდი განსხვავებულია საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების გამოყენების ფორმის მიხედვით. განაკვეთი განისაზღვრება ობიექტურობისა და არადისკრიმინირებულობის პრინციპების გათვალისწინებით, არაბუნდოვანი და კონკრეტული ოდენობით, რომლის გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები: საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების გამოყენების ეკონომიკური ღირებულება ყოველ კონკრეტულ კონტექსტში, შესაბამის სფეროში არსებული საბაზრო მდგომარეობა, განაკვეთის გამოანგარიშების საერთაშორისო პრაქტიკა და სხვა. (ცვლილება 01.03.2015)
2. მოსარგებლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია ჰონორარის გამოანგარიშების მეთოდი და ოდენობა. ჰონორარი შესაძლოა განისაზღვროს მოსარგებლის საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის ან ბიუჯეტის პროცენტით, ასევე მომსახურებისთვის განკუთვნილი ადგილების ან ფართის მიხედვით ფიქსირებული თანხით და სხვა, ხოლო, რიგ შემთხვევაში, ასევე შესაძლებელია დადგენილი იყოს საავალდებულო მინიმალური განაკვეთის ოდენობა. (ცვლილება 01.03.2015)
3. ჰონორარის შეგროვება/განაწილების მოქნილობისა და ეფექტურობის პრინციპების შესაბამისად, გადასახდელი ჰონორარი შეიძლება იყოს პერმანენტული ან ერთჯერადი ხასიათის, რომელიც განისაზღვრება ყოველთვიური, ყოველკვარტალური, ყოველწლიური ან სალიცენზიო შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა პერიოდულობით. (ცვლილება 01.03.2015)
4. ნაწარმოების რეპროდუქციების გარდა, საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ დადგენილი განაკვეთები მოსარგებლეებზე ვრცელდება საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების ხანგრძლივობისა და რაოდენობის მიუხედავად. (ცვლილება 01.03.2015)
5. საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ დადგენილი განაკვეთები შეიცავს სახელმწიფო გადასახადებს.
6. ჰონორარის საავალდებულო მინიმალური განაკვეთი მოსარგებლეზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი მეთოდით გამოანგარიშებისას გადასახდელი-ჰონორარის ოდენობა შეადგენს მინიმალურ განაკვეთზე ნაკლებს. (ცვლილება 01.03.2015)
7. განაკვეთის ხვედრითი წილის მიხედვით გამოანგარიშებისას, ხვედრითი წილი განისაზღვრება მოსარგებლის მიერ საქმიანობის განხორციელებისას გამოყენებული საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტების პროპორციით. (ცვლილება 01.03.2015)
8. არსებული საბაზრო პირობების და განაკვეთის განსაზღვრის დროს გამოყენებული სხვა გარემოებების ცვლილებებისა და საერთაშორისო რეკომენდაციების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს დადგენილი განაკვეთების ცვლილებები.

მუხლი 5. გადასახდელი ჰონორარის მაკორექტირებელი კოეფიციენტები

1. მოსარგებლეთა მიერ გადასახდელი ჰონორარის მაკორექტირებელი კოეფიციენტები განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით: მომსახურებისთვის განკუთვნილი ფართობის რაოდენობა, მოსარგებლის ტერიტორიული მდებარეობა და მოსარგებლის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული, ერთი სახის ობიექტების/ნაწარმოების რაოდენობა. (ცვლილება 01.03.2015)

2. მოსარგებლის ტერიტორიული მდებარეობის, სარგებლობის მიზნის და/ან დაფინანსების წყაროს მიხედვით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ჰონორარის განაკვეთების შემამცირებელი კოეფიციენტები 20-90%-ის ოდენობით. (ცვლილება 01.03.2015)
3. მოსარგებლისთვის, რომელიც საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ დადგენილ განაკვეთებთან მიმართებაში, ახორციელებს ერთგვაროვან საქმიანობას/მომსახურებას, მაკორექტირებელი კოეფიციენტები გამოდინარეობს მის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ, ერთი სახის ობიექტთა/საწარმოთა რაოდენობიდან და გამოიყენება შემდეგი ფასდაკლება:
 - ა) 3-დან 7 -მდე ობიექტის/საწარმოს შემთხვევაში, ჰონორარის მთლიანი ოდენობის 5%
 - ბ) 8-დან 15-მდე ობიექტის/საწარმოს შემთხვევაში, ჰონორარის მთლიანი ოდენობის 10%
 - გ) 16-დან 30-მდე ობიექტის/საწარმოს შემთხვევაში, ჰონორარის მთლიანი ოდენობის 15%
 - დ) 31-დან 100-მდე ობიექტის/საწარმოს შემთხვევაში, ჰონორარის მთლიანი ოდენობის 20%
 - ე) 100-ზე მეტი ობიექტის/საწარმოს შემთხვევაში, ჰონორარის მთლიანი ოდენობის 25% (ცვლილება 15.01.2016)
- 3¹. მოსარგებლისთვის, რომელიც ახორციელებს მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულებას, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფასდაკლება ვრცელდება მის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ობიექტთა/საწარმოთა სახისა და საქმიანობის ტიპის მიუხედავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტი/საწარმო ნარმოადგენს არსებული ობიექტის/საწარმოს შემადგენელ ნაწილს. (ცვლილება 01.08.2017)
4. ამოღებულია - (ცვლილება 01.03.2015)
5. მოსარგებლისთვის, რომელიც საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ დადგენილი განაკვეთების შესაბამისად იხდის ჰონორარს მომსახურებისთვის განკუთვნილი ფართობის რაოდენობის მიხედვით, თითოეული ობიექტის/საწარმოსთვის გამოიყენება შემდეგი ფასდაკლება:
 - ა¹) 4001-დან 6000-მდე კვადრატული მეტრის შემთხვევაში, ჰონორარის მთლიანი ოდენობის 5%
 - ა) 6 001-დან 8 000-მდე კვადრატული მეტრის შემთხვევაში, ჰონორარის მთლიანი ოდენობის 10%
 - ბ) 8 001-დან - 10 000-მდე კვადრატული მეტრის შემთხვევაში, ჰონორარის მთლიანი ოდენობის 15%
 - გ) 10 001-დან 20 000- მდე კვადრატული მეტრის შემთხვევაში, ჰონორარის მთლიანი ოდენობის 20%
 - დ) 20 001 კვადრატული მეტრის ზემოთ, ჰონორარის მთლიანი ოდენობის 30% (ცვლილება 01.08.2017)
6. მოსარგებლებზე, რომელიც საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ დადგენილ განაკვეთებთან მიმართებაში საქმიანობას ახორციელებს საქველმოქმედო მიზნით, ვრცელდება შემამცირებელი კოეფიციენტი ჰონორარის 50%-ის ოდენობით. საქველმოქმედო საქმიანობა ამ დებულების მიზნებისთვის განიმარტება როგორც დახმარების უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ განევა იმ პირებისათვის, რომლებიც ამ დახმარებას საჭიროებენ. ქველმოქმედებას არ მიეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ნათესავებისათვის ან იურიდიული პირის მიერ თავისი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებისათვის და/ან მათი ნათესავებისათვის დახმარების განევა, თუ ეს იურიდიული პირი „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით საპროცედურადად ითვლება. ასევე, დახმარების აღმოჩენა სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ და საწარმოს, პოლიტიკური პარტიის ან არჩევნებში მონაწილე სხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად განხორციელებული საქმიანობა. (ცვლილება 15.01.2016)
7. ამოღებულია (26.02.2016)
- 7¹. მოსარგებლის მიერ ერთი წლის ჯამური ჰონორარის წინასწარ, ერთჯერადად გადახდის შემთხვევაში, ვრცელდება ფასდაკლება 10%-ის ოდენობით. ფასდაკლება ასევე ვრცელდება მოსარგებლებზე, რომელიც სემინარების პრინციპიდან გამომდინარე, ფუნქციონირებს რამდენიმე თვე წელიწადის განმავლობაში და წინასწარ იხდის მთლიანი წლის განმავლობაში გადასახდელ ჰონორარს, მიუხედავად თვეების რაოდენობისა. (ცვლილება 01.08.2017)
- 7². მოსარგებლის მიერ ობიექტში/საწარმოში მუსიკალური ნაწარმოების და/ან მუსიკალური ნაწარმოების ფონოგრამის საჯარო შესრულების დაწყებამდე წინასწარ მომართვისა და ლიცენზიის აღების შემთხვევაში ვრცელდება ფასდაკლება 10%-ის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარგებლებე უკვე ფლობს ასოციაციის ლიცენზიას მის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ სხვა ობიექტთან/საწარმოსთან მიმართებაში. (ცვლილება 01.08.2017)
- 7³. მოსარგებლებზე, რომელიც უკვე იხდის საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენებისთვის გათვალისწინებულ ჰონორარს, იმავე ობიექტში/საწარმოში მომიჯნავე უფლებით დაცული ობიექტების გამოყენებისთვის ვრცელდება ფასდაკლება 10%-ის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში. (ცვლილება 01.08.2017)
8. ამ მუხლის მე-2, მე-3, მე-3¹, მე-5 და მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირობების ერთდროულად არსებობისას, მოსარგებლებზე გავრცელდება უფრო მაღალი ფასდაკლების მაჩვენებელი. (ცვლილება 01.08.2017)
9. ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების ერთდროულად არსებობისას, თავდაპირველად ხორციელდება მე-2, მე-3, მე-3¹, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული და შემდეგ მე-7¹; მე-7² და მე-7³ პუნქტებით გათვალისწინებული ფასდაკლებების დაანგარიშება. (ცვლილება 01.08.2017)
10. ამ მუხლის მე-7¹; მე-7² და მე-7³ პუნქტებით გათვალისწინებული პირობებიდან რომელიმე ორის ერთდროულად არსებობის დროს, მოსარგებლებზე ვრცელდება ერთიანი ფასდაკლება 15%-ის ოდენობით. (ცვლილება 01.08.2017)

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაში შედის მის მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

2. დებულებაში ცვლილების შეტანა და/ან მისი გაუქმება ხორციელდება იმავე გზით, რაც გამოიყენება დებულების მიღების დროს.
3. დებულება უნდა განთავსდეს ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან ნებისმიერი სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ასოციაციის წევრებისა და მოსარგებლეებისათვის.

დამტკიცებულია ასოციაციის გამგეობის მიერ 25.07.2011 წელს.